დადგა თავდასხმის ჯერი…

თბილისის „დინამოს“ სტადიონი 7 ივლისი

„დინამო“ (თბილისი) - „ჩერნომორეცი“ (ოდესა) 4:0 (1:0).

„დინამო““: ურუშაძე (კოტრიკაძე), ძოძუაშვილი, რეხვიაშვილი, ჭელიძე, ცხოვრებოვი, პეტრიაშვილი, ასათიანი, ხურცილავა (გავაშელი) მეტრეველი, გ. ნოდია, მესხი.

„ჩერნომორეცი“: იარჩუკი, ცუნინი, პოპიჩკო, ზუბკოვი, სირომიატნიკოვი, მოსკალენკო, სეკეჩი, შიმანოვიჩის, ზვენიგოროდსკი, კუჩინსკასი, ვარგა (ბოკატოვი).

მსაჯი ი. მეილახშტეინი (მოსკოვი).

არასოდეს არ უთამაშია თბილისის „დინამოს“ დაცვას ისე კარგად, როგორც წლევანდელ სეზონში. განვლილ 17 ტურში. მას სულ 5 ბურთი აქვს მიღებული საკუთარ კარში. მიმომხილველები განსაკუთრებით აღნიშნავენ ამ ფაქტს, ხაზს უსვამენ დაცვითს მაღალ ბრძოლისუნარიანობას, მაგრამ აქვე დასძენენ, რომ თბილისელებს ამავე დროს უჩვეულოდ ცოტა ბურთი აქვთ გატანილი, რაც, აგრეთვე, გამონაკლისია დინამოელთა ისტორიაში.

მართლაც, 12 გოლი 16 მატჩში („ჩერნომორეცთან“ შეხვედრამდე) - ეს ძალიან ცოტაა. გამოდის, რომ თბილისის „დინამოს“ თითო მატჩში თითო გოლიც ვერ გაჰქონდა და ამ მაჩვენებლით ჩვენი გუნდი ერთ-ერთ ბოლო ადგილზე იყო, თანაც, თბილისელთა გოლების დიდი ნაწილი მხოლოდ 2 თავდამსხმელზე - მეტრეველსა და გავაშელზე მოდიოდა.

7 ივლისის მატჩმა რამდენადმე გამოასწორა ეს ერთობ არასახარბიელო მდგომარეობა. თავდასხმა ამოქმედდა, როგორც ეს ჯერ არს; დინამოელებმა მაქსიმალური აგრესიით ითამაშეს და წლევანდელ ჩემპიონატში პირველ გამარჯვებას მიაღწიეს დიდი ანგარიშით. ამასთან, ვერ ვიტყვით, რომ „ჩერნომორეცი“ სუსტი მეტოქე იყო და ამიტომ მოვიდა გოლების წვიმა მის კარში. ოდესელები თამაშობდნენ სრული შესაძლებლობით, ძლიერად, მცველები და მეკარე თავგამოდებით იბრძოდნენ მთელი მატჩის მსვლელობაში. სტუმრები არ თაკილობდნენ ე. წ. „ტაქტიკური ფოლის“ გამოყენებასაც და ყოველ „შესაფერის“ მომენტში დაურიდებლად ცელავდნენ მათი საჯარიმო მოედნის სიახლოვეს გასულ დინამოელ თავდამსხმელებს. მაგრამ „ჩერნომორეცი“ უძლური იყო თბილისელთა იერიშების წინაშე.

პირველი გოლი გატანილ იქნა 22-ე წუთზე, მასპინძელთა მხრივ ბევრი გამოუყენებელი მომენტის შემდეგ, თანაც, გოლი ნათელი ილუსტრაცია იყო იმისა, თუ როგორ უნდა გამოიყენოს ფორვარდმა ყოველი, თუნდაც ერთი შეხედვით უმნიშვნელო შესაძლებლობა კარის ასაღებად. მესხმა საჯარიმო მოედნის კიდეში გადასცა ბურთი ნოდიას. ნოდია ძნელ მდგომარეობაში იმყოფებოდა, მაგრამ, მიუხედავად იმისა, საუკეთესოდ, შემობრუნებით დაარტყა და ბურთი შორეულ კუთხეში გაგზავნა.

მეორე გოლი ხურცილავას ეკუთვნის. შესვენებამდე მან რამდენიმე სახიფათო მომენტი შექმნა იარჩუკის კართან, ერთხელ ძელს მოარტყა ბურთი, ახლა კი, 48-ე წუთზე, ზუსტად შეურჩია ადგილი მეტრეველის ჩამოწოდებულ კუთხურს და მაღალ კუთხეში გაიტანა ბურთი.

67-ე წუთზე ხურცილავა კვლავ გარღვევაზე იყო. იგი მეკარის პირისპირ აღმოჩნდა და მცველებს აღარავითარი შანსი არ დარჩათ დასწეოდნენ მას. ამიტომ ზუბკოვმა უცერემონიოდ გამოდო ფეხი ხურცილავას და მსაჯმა სამართლიანად დანიშნა პენალტი. განაჩენი სისრულეში მოიყვანა მეტრეველმა - 3:0.

დაბოლოს, უკვე მატჩის დასასრულს, მესხმა მეოთხედ დააწყებინა „ჩერნომორეცს“ ცენტრიდან თამაში.

რ. ქორიძე
“ლელო”, 9 ივლისი, 1968